www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3341 (198) | ფასი 50 თეთრი

ხურჩის ინციდენტმა ინსპირირებული ტერაქტის კვალიფიკაცია მიიღო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით, შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან შამათავა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი მალხაზ მურღულია დააკავეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

კანონდამრღვევი ჟერარ დეპარდიე არ დააკავეს

გუშინწინ, ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ, რომელმაც რამდენიმე თვის წინ საფრანგეთის მოქალაქეობაზე მაღალი გადასახადების გამო უარი თქვა და დღესდღეობით კადიროვთან მეგობრობით გაითქვა სახელი, საქართველოს საზღვარი გადმოლახა. სხვა შემთხვევაში მას ალბათ ზარზეიმით შეხვდებოდნენ, თუმცა დღეს ის საქართველოს კანონის დამრღვევია.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ობამა საფრანგეთის განაწყენებას ერიდება

ივა შილაკაძე

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, შეამციროს საფრანგეთის ხელისუფლების უარყოფითი რეაქცია ორი დღის წინ «მონდში» გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, რომელშიც აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტოს მიერ საფრანგეთის მოქალაქეების, ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების ტოტალურ მოსმენებზე იყო საუბარი. ეს ინფორმაციები ისევ გაქცეული აგენტის ედუარდ სნოუდენის მიერ მედიისთვის გადაცემულ მასალებზე დაყრდნობით ვრცელდება და ამან უკვე გამოიწვია რამდენიმე სახელმწიფოს - გუშინ საფრანგეთისა და მექსიკის, მანამდე კი ბრაზილიის - მწვავე რეაქცია. ამის შესახებ გუშინ დაწვრილებით წერდა „24 საათი“.

ორ ქვეყანას შორის წარმოშობილი პრობლემის განსახილველად სამშაბათს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ფრანგ კოლეგა ფრანსუა ოლანდს დაურეკა. თეთრი სახლის პრესსამსახურმა საუბრის მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა, რაც ძალიან ჰგავდა ლამის ოფიციალური ბოდიშის მოხდას. **„პრეზიდენტების სატელეფონო საუბრისას ობამამ და ოლანდმა განიხილეს პრესაში ბოლო დროს გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომელთაგან ზოგიერთი ჩვენს საქმიანობას ამახინჯებს, ხოლო ზოგიერთი ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების კანონიერ კითხვებს იწვევს, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება სადაზვერვო შესაძლებლობები. ორივე პრეზიდენტი დაეთანხმა იმ აზრს, რომ საჭიროა, გაგრძელდეს ამ საკითხების განხილვა დიპლომატიური არხებით,“** - ნათქვამია აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ვოლგოგრადის ტერაქტზე ინფორმაცია მატულობს

ივა შილაკაძე

ორშაბათს ვოლგოგრადში ავტობუსში განხორციელებული ტერაქტის შესახებ მედიაში სულ უფრო მეტი ინფორმაცია ვრცელდება. რუსი სამართალდამცველებისთვის აფეთქების ორგანიზატორების შესახებ, როგორც ჩანს, უკვე ბევრი რამ არის ცნობილი. ამ ადამიანებს აქამდეც ეძებდნენ სხვა ტერაქტებისთვის, რომლებიც, ძირითადად, დაღესტანში განხორციელდა, მაგრამ ეს ხალხი, როგორც ვხედავთ, „საქმიანობას“ აგრძელებს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სანიკიძე + შერმადინი = Georgia

ჰოლივუდი ნაცისტური გარნირით

გამოვიდა ამერიკული კინოსტუდიებისა და ნაცისტების თანამშრომლობის ამსახველი წიგნი

ია ვეკუა



1938 წლის იანვარში, ჯერ კიდევ გაფურჩქვნის პერიოდში მყოფმა ადოლფ ჰიტლერმა კინოკომპანია XX Century Fox-ისგან მოკრძალებული, პატივისცემით აღსავსე წერილი მიიღო. კინოკომპანიის გერმანიაში არსებული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფიურერს ამერიკული კინემატოგრაფის მნიშვნელობასა და თანამედროვე გერმანიის ცხოვრებაში მის როლზე აზრის გამოთქმას სთხოვდა, წერილი კი ასე მთავრდებოდა: «ჰაილ ჰიტლერ!»

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

კანონდამრღვევი ჟერარ დეპარდიე არ დააკავეს

პირველი გვერდიდან

დეპარდიემ ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონი დაარღვია - კინომოყვარულთა გმირი ამ ზაფხულს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთიდან შევიდა, რაც მას, ქართული კანონმდებლობის თანახმად, იმთავითვე კანონდამრღვევად ხდის, ხოლო ქართველ მესაზღვრეებს კი მის დაკავებას ავალდებულებს. მიუხედავად ამისა, გუშინწინ საღამოს დეპარდიემ, ქართველ მასპინძლებთან ერთად, რესტორან „პურის სახლში“ ივახშმა.

საქართველოს ხელისუფლება ფრანგი მსახიობის, ჟერარ დეპარდიეს საქართველოში სტუმრობის საკითხს შეისწავლის - ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა. მისივე განმარტებით, სწორედ ფაქტების შესწავლის შემდეგ მიიღებს ხელისუფლება გადაწყვეტილებას, რა რეაგირებას მოახდენს ჟერარ დეპარდიეს საქართველოში სტუმრობასთან დაკავშირებით.

„ჟერარ დეპარდიე არ არის ადამიანი, რომელთან მიმართებაში საქართველომ ან ნებისმიერმა სხვა ქვეყანამ შეიძლება ნაჩქარევი გადაწვეტილება მიიღოს, ამიტომ ფაქტებს შევისწავლით და შემდეგ მოახდენს ხელისუფლება შესაბამის რეაგირებას. კანონი არის ყველასთვის ერთი,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

„ჟერარ დეპარდიეს პასპორტი სუფთა ჰქონდა, - თავს იმართლებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი.

მისი განმარტებით, დეპარდიეს პასპორტს არ ჰქონდა შტამპი, რითაც დადასტურდებოდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზეა ნამყოფი. შესაბამისად, მესაზღვრეს არ ჰქონდა მისი შეჩერების უფლება.

ნინო გიორგობიანი აცხადებს, რომ იურიდიულად, უნდა არსებობდეს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ის მართლა არის ნამყოფი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ის, რომ ჟერარ დეპარდიე გუშინწინ, რესტორან „პურის სახლში“ იმყოფებოდა, „M გრუპის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნუცა მალაშხიამ დაუდასტურა.

მისი განცხადებით, ჟერარ დეპარდიე რესტორანში ხუთ თანმხლებ პირთან ერთად დღის პირველ ნახევარში, დაახლოებით 13:00 საათისთვის მივიდა და რესტორნის მომსახურე პერსონალთან ერთად ფოტოებიც გადაიღო.

სტუმრებმა, რომლებიც ჩვენს რესტორანში იმყოფებოდნენ, ჟერარ დეპარდიეს დანახვის შემდეგ მოინდომეს მასთან ფოტოების გადაღება. მან სამახსოვროდ თეფშზე წარწერა დაგვიტოვა,“ - განაცხადა ნუცა მალაშხიამ.

რაც შეეხება ჟერარ დეპარდიეს მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას, „M გრუპის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

„ჩვენ არ ვიცოდით, თუ ჟერარ დეპარდიე აპირებდა ჩვენს რესტორანში მოსვლას. დღის განმავლობაში ჩვენთან ძალიან ბევრი სტუმარი მოდის. ჟერარ დეპარდიეს სტუმრობასთან დაკავშირებით კი არც ჯავშანი გვქონდა, არც წინასწარი ინფორმაცია, „ - განაცხადა ნუცა მალაშხიამ.

ჟერარ დეპარდიე თბილისის გავლით ბაქოში გაემგზავრა.

საკუთარი ინფორმაცია

ლაფანყურის საქმეს საზოგადოებრივი საბჭო შეისწავლის

სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გუშინ საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოსაძიებლად იმუშავებს.

ნანუაშვილის თქმით, სახალხო დამცველის ოფისი რამდენიმე თვეა, ლოპოტას ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან 2012 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ადამიანის უფლებათა (მათ შორის, სიცოცხლის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, არაადამიანური მოპყრობისა თუ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების) საგარაუდო დარღვევის საკითხს სწავლობს. როგორც ომბუდსმენმა აღნიშნა, სპეცოპერაციის დროს სახელმწიფოს სპეციალური ძალოვანი სტრუქტურების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევის, აღნიშნული სახელმწიფო ორგანოების ქმედებებში დანაშაულის შესაძლო ნიშნების არსებობის და გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშშია საუბარი.

ნანუაშვილი საზოგადოებრივი საბჭოს ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე ამახვილებს ყურადღებას. **„იმ პირობებში, როდესაც სპეცოპერაციის დროს დაზარალებულ პირთა ოჯახის წევრებს მრავალი ლეგიტიმური და ამ დრომდე პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნიათ, ასევე როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა სპეცოპერაციის დაგეგმვისა და სისრულეში მოყვანის პროცესი, ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობა და ლეგიტიმურობა, საქართველოს სახალხო დამცველი ამ პროცესში ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტების მიმართ გულგრილი ვერ დარჩება, ვინაიდან ეს ომბუდსმენის, როგორც ინსტიტუტის არსებობის ძირითად სულისკვეთებას ეწინააღმდეგება,“** - ამბობს უჩა ნანუაშვილმა გუშინ საზოგადოებრივი საბჭოს

ომბუდსმენის თქმით, სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლით და «საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, სოფელ ლაფანყურში განვითარებული მოვლენების შესწავლას აგრძელებს. ნანუაშვილი აზუსტებს, რომ ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **„საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას... ასევე, საქართველოს სახალხო დამცველი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას.“**

ომბუდსმენის აპარატთან შექმნილი საბჭოს ძირითადი მიზანი 2012 წლის აგვისტოში სოფელ ლაფანყურში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ფაქტების დოკუმენტირება იქნება, რათა მოვლენების ფაქტობრივი განვითარების შესახებ არსებულ კითხვებს პასუხები გაეცეს. როგორც ნანუაშვილმა თქვა, საბჭო დაზარალებულთა ინტერესის წარმოჩენასა და გამოძიების პროცესის დამოუკიდებლად და გამჭვირვალედ წარმართვის აუცილებლობაზე გაამახვილებს ყურადღებას.

საკითხის შესწავლის შედეგად საზოგადოებრივი საბჭო ანგარიშს მოამზადებს, რომელიც, შესაბამის მასალებთან ერთად, საგამოძიებო ორგანოებს გაეგზავნება.

უჩა ნანუაშვილი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ საბჭო ალტენატიულ საგამოძიებო უწყებას არ წარმოადგენს და პირიქით, გამოძიების ყოველმხრივ, ეფექტურად და გამჭვირვალედ წარმართვას ხელს შეუწყობს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ნანუაშვილმა მედიას ამცნო, ის არის, რომ საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობაში პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. საკონსულტაციო ჯგუფს უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს საქართველოს სახალხო დამცველი. საბჭოში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ გაწევრიანდებიან.

უჩა ნანუაშვილის მიერ წარმოდგენილ 12-წევრიან საბჭოში უმრავლესობას ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები წარმოადგნენენ. საბჭოს წევრები არიან: სოსო ცისკარიშვილი, ლია მუხაშავრია, ვახტანგ მაისაია, კახი კახიშვილი, მამუკა არეშიძე, თამარ გაბისონია, გელა ნიკოლაიშვილი, უმარ იდიგოვი, ზაურ გუმაშვილი, ხასო ხანგოშვილი და მურად ქავთარაშვილი.

მამუკა არეშიძე საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციის შესახებ საუბრობს. **„ჩვენი საქმე იმ ინფორმაციის შეჯერება იქნება, რომელიც თითოეულ ჩვენგანს აქვს. შეჯერებულ ინფორმაციას გავაანალიზებთ, ამასთან, სხვა მასალებსაც მოვიძიებთ. საბჭო გამოძიების პარალელური სტრუქტურა არ იქნება. უბრალოდ, საზოგადოებაში ბევრი კითხვა დაგროვდა, რომლებსაც პასუხები უნდა გაეცეს. შევეცდებით, ეს ფუნქცია შევასრულოთ,“** - განმარტა არეშიძემ.

კახი კახიშვილის თქმით, მისთვის, როგორც იურისტისთვის, საქმის დეტალებია საინტერესო. **„გავარკვევთ, იყო თუ არა პროცესუალური დარღვევები. საზოგადოების ინტერესი მაღალია. სხვადასხვა ვერსიების შესახებ არის საუბარი. იმ კომპეტენციის ფარგლებში ვიმუშავებთ, რომელსაც კომისიას დაუწესებენ,“** - ამბობს კახიშვილი.

გელა ნიკოლაიშვილის აზრით, საზოგადოებრივმა კომისიამ საზოგადოების ინტერესი შესაძლოა, სახელმწიფო სტრუქტურაზე მეტად დააკმაყოფილოს. **„სახელმწიფო ინსტიტუტები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ინფორმაციის დამალვისკენ არიან მიდრეკილები,“** - მიიჩნევს ნიკოლაიშვილი.

საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას არ აპირებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური. **„ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხის გამოძიება და იმის დადგენა, რა მოხდა სინამდვილეში, მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხი სახელმწიფო უსაფრთხოებას უკავშირდება. გამოძიების შედეგად კი შეიძლება, ისეთი ინფორმაცია შეგროვდეს, რომლის საჯაროდ გამოქვეყნება მიზანშეწონილი არ იყოს. როდესაც საქმე გვაქვს ასეთ სენსიტიურ თემასთან და ის ეროვნულ ინტერესებს ეხება, ვფიქრობ, მას სათუთად უნდა მოვეკცეთ. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ, კომისიამ კი მათ შეიძლება, დამატებითი ინფორმაციები მიაწოდოს,“** - თქვა ეკა გიგაურმა.

გიგაურის შეფასებით, საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშის მიმართ შესაძლოა, გარკვეული უნდობლობა არსებობდეს, ვინაიდან საბჭოს გამოძიების წარმოების ის საშუალებები არა აქვს, რაც სამართალდამცავ ორგანოებს.

საზოგადოებრივ საბჭოში არც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაერთიანდება.

„ჩვენ ამ კომისიის მუშაობაში ვერ ჩავერთვებით, რადგან ის იმ პირებისგან უნდა დაკომპლექტდეს, რომლებსაც ამ საქმესთან სხვა კუთხით შეხება არ აქვთ. ჩვენ სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების ადვოკატები ვართ - მხარის ინტერესებს ვიცავთ და ამავდროულად თუნდაც საზოგადოებრივ-საგამოძიებო კომისიაში ჩართვა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნების შემცველი იქნება. ასე რომ, ვფიქრობ, კომისიის მუშაობაში ჩვენი ჩართვა არასწორი იქნება,“ - ამბობს საია-ს თავმჯდომარე კახა კოჟორიძე.

კოჟორიძე საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის სავარაუდო შედეგების შესახებაც საუბრობს. მისი შეფასებით, ამ ტიპის კომისიას საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გაუჭირდება, რადგან კომისიის სტატუსი და სამართლებრივი მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. თუმცა, კახა კოჟორიძე იმასაც აღნიშნავს, რომ საბჭოს დადებითი როლის შესრულება მაინც შეუძლია. **„მინიმუმ, იმას მაინც იტყვის, რომ გამოძიებას რაღაც საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება შეეძლო და ეს არ გააკეთა,“** - აღნიშნავს კოჟორიძე.

ეკა გიგაურისა და კახა კოჟორიძის შეფასებებს უჩა ნანუაშვილი გამოეხმაურა. სახალხო დამცველის თქმით, საზოგადოებრივ საბჭოში სამუშაოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ არ მიუწვევიათ. **„ჩვენ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს დაუკავშირდით. სხვა ორგანიზაციებთან არანაირი დისკუსია არ გვქონია და ისინი საბჭოში არ მიგვიწვევია,“** - თქვა ნანუაშვილმა.

რაც შეეხება საია-ს, ნანუაშვილის თქმით, იგი საბჭოს შემადგენლობაში ინტერესთა კონფლიქტის გამო ვერ იქნება.

საბჭო პირველ სხდომას დღეს სახალხო დამცველის ოფისში გამართავს. საბჭოს წევრები იმ პირთა სიას განსაზღვრავენ, რომლებსაც გაესაუბრებიან.

საკუთარი ინფორმაცია

„ს.ს ჩარხმშენებლის“ აქციონერთა საყურადღებოდ

საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, ჩვენს ტერიტორიაზე ახალი სასაწყობო შენობის ასაშენებლად, ვაწარმოებთ სამშენებლო კომპანიის შერჩევას. დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით - ტ: 2942589

სამეთვალყურეო საბჭო.

„საია“ - სასამართლო სისტემა გაუმჯობესებულია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სისხლის სამართლის საქმეებზე თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებში პროცესების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა.

«საიამ“ სასამართლო სისტემაზე ექვსთვიანი დაკვირვების შედეგად დასკვნა გამოაქვეყნა, რომელშიც, როგორც მოსამართლეების, ასევე დაცვისა და ბრალდების მხარეების მუშაობაა შეფასებული.

ახალგაზრდა იურისტების ინფორმაციით, მოსამართლეების საქმიანობა წინა წლებთან შედარებით გაჯანსაღებულია, მაგრამ ისინი კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას ნაკლებად იყენებენ.

კვლევამ დაადგინა, რომ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა გაიზარდა. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში მოსამართლეები, ძირითადად, პატიმრობას ან გირაოს უფარდებენ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯომარე კახა კოჟორიძის განცხადებით, სასამართლო სისტემა გაუმჯობესებულია.

გამოვლინდა, პირველ რიგში, ის რომ დადებითი, გაუმჯობესების ტენდენციაა სასამართლოს მხრიდან. მოსამართლეები პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ავტომატურ რეჟიმში არ არიან და ყველა შუმდგომლობა არ კმაყოფილდება. პატიმრობის შეფარდების საკითხი უფრო მეტად დასაბუთებულია. ასევე, თავად პროკურატურაც უფრო მეტად ლოიალურად უდგება საქმეებს - ყველას საქმეში პატიმრობას აღარ ითხოვენ,“ - განაცხადა კახა კოჟორიძემ.

პროკურატურის დეპარტამენტის უფროს კახაბერ წერეთლის განცხადებით, ძირითადი მიღწევა ის არის, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, სასამართლო პროკურატურის გავლენის ქვეშ აღარ არის.

შემცირდა პატიმრობის შეფარდება, შესაბამისად, გაიზარდა გირაოს გამოყენება. ძირითად მიღწევად ის მიიჩნევა, რომ დღეს სასამართლო არ არის პროკურატურის იმ ფორმით გავლენის ქვეშ, რასაც წინა წლებში ვიყავით შეჩვეულები და რამაც ხალხს სამართლიანობის განცდა დააკარგინა,“ - განაცხადა კახა წერეთელმა.

ცნობისათვის - მონიტორინგს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს მიერ დაფინანსებული „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი ახორციელებს. მონიტორინგის პერიოდი 2013 წლის იანვარ-ივნისის თვეებში დაკვირვების შედეგებს მოიცავს.

პროექტის მიზანს კი სასამართლო სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით და მასზე ანაგრიშების გამოქვეყნებით საქართველოს სასამართლოებში სისხლის სამართალწარმოების გამჭვირვალობის გაზრდა წარმოადგენს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ხურჩის ინციდენტმა ინსპირირებული ტერაქტის კვალიფიკაცია მიიღო

პირველი გვერდიდან

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, შსს-ს სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის საშიშროება, ასევე ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

კერძოდ, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ნინო გიორგობიანის განაცხადებით, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით სოფელ ხურჩაში მობილიზებულ იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას.

„დასახელებულ დროს სოფელ ხურჩაში ტერორისტული აქტის განსახორციელებლად ჩასაფრებულმა რომან შამათავამ, მალხაზ მურღულიამ და მათმა თანამზრახველებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ურთიერთშორის ნაწარმოები მრავალჯერადი გასროლით მშვიდობიან მოსახლეობაში გამოიწვიეს პანიკა, აგრეთვე, მალხაზ მურღულიამ „ერ პე გე“-ს ტიპის ყუმბარმტყორცნიდან განხორციელებული ორი გასროლით ააფეთქა ხალხის გადასაყვანად მობილიზებული ავტობუსები.

აფეთქების შედეგად სრულად განადგურდა ორივე სატრანსპორტო საშუალება, ხოლო სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო მოქალაქემ ნანი ქარდავამ. ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ, ორგანიზატორებმა სატრანსპორტო საშუალების მძღოლებსა და დაჭრილ მოქალაქეს მიყენებული ზიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული ასიგნებებიდან აუნაზღაურეს,“ - განაცხადა გიორგობიანმა.

მისივე თქმით, გამოძიება საქართველოს სსკ-ს 323-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ თემაზე კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის რწმუნებულმა სამგრელო-ზემო სვანეთში თენგიზ გუნავამ.

გუბერნატორმა 2008 წლის 21 მაისს მომხდარი შემთხვევა გაიხსენა და აღნიშნა, რომ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები, რომლებიც ტერორისტული აქტის მოწყობის ბრალდებით დააკავეს, მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და განცხადება იმის შესახებ, რომ ხურჩის ინციდენტი ქართული მხარის მიერ იყო ინსპირირებული, წინასაარჩევნო მიზნებზეა გათვლილი.

„შსს ურცხვად იტყუება, როდესაც აცხადებს, რომ ტერორისტული აქტი ქართულმა მხარემ მოაწყო. დაკავებული ჰყავთ მურღულია და შამათავა. ეს ბიჭები მთელი ცხოვრება ქვეყნის ინტერესს იცავდნენ, არავითარი პირადი მათ არასდროს გაუკეთებიათ. შსს-მ მსგავსი განცხადებები წინასაარჩევნოდ გააკეთა. ამით რუსულ სპეცსამსახურებს უხსნიან ხელს საქართველოში. ძალიან ცუდი ტენდენცია წავიდა. მაშინ რეგიონის პოლიციის უფროსი ვიყავი. ძალიან კარგად მახსოვს, ჯგუფთან ერთად გავედი ადგილზე. სადაც ეს ფაქტი მოხდა, ის ადმინისტრაციული ზოლის ნეიტრალური ტერიტორიაა და ამ ვაჟკაცების დამსახურებაა, რომ იქიდან ადამიანები ცოცხლები გამოიყვანეს,“ - განაცხადა თენგიზ გუნავამ.

გუნავასგან განსხვავებული პოზიცია აქვთ საპარლამეტო უმრავლესობი წევრებს.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლება ტერორისტული აქტების ინსცენირებით მოსახლეობის შეშინებას და არჩევნებზე ზემოქმედებას ცდილობდა.

ტერორისტული აქტების ინსცენირებით წინა ხელისუფლება ცდილობდა, მოსახლეობა შიშის ქვეშ ემყოფებინა, რომ ისევ და ისევ ამ გზით ხმები მოეზიდათ და არჩევნებზე ზემოქმედება მოეხდინათ. რა თქმა უნდა, ახალ ხელისუფლებას ეს საქმე უნდა გამოეძიებინა, მით უმეტეს, როდესაც ეს ინციდენტი გაერო -ს ანგარიშში მოხვდა, ქვეყანაში ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდა და ყველა იმ ბუნდოვანებებსა და გაუგებრობაზე მიუთითებდა. მაგრამ მთავარი და სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ ტერორისტული აქტების ინსცენირებით და მოსახლეობის დაშინებით წინა ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდა,“ - განაცხადა სესიაშვილმა.

ანალოგიურ პოზიციაზეა «ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირინა იმერლიშვილი. უმრავლესობის წევრი მოსახლეობას მოუწოდებს, შეადაროს, როგორი იყო წინასაარჩევნო ფონი წინა ხელისუფლების დროს და როგორია ახლა.

ნაციონალური მოძრაობა არასდროს ერიდებოდა თავისი ხალხის წინააღმდეგ ტერაქტების იმიტაციასაც კი, რათა წინასაარჩევნოდ ისტერიული ფონი შექმნილიყო და ყურადღება სრულიად სხვაგან გადატანილიყო. ეს დღევანდელი გამოძიებით კიდევ ერთხელ დადასტურდა. არსებობენ დაკავებულები - შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები და მგონი, ქართველ ამომრჩეველს შეუძლია, შეადაროს, როგორ ატარებს დღევანდელი ხელისუფლება არჩევნებს და როგორი წინასაარჩევნო ფონი იყო 2008 წელს,“ - აღნიშნა ირინა იმერლიშვილმა

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ცაგარეიშვილი დარწმუნებულია, რომ ხურჩის ინციდენტში დანაშაულის კვალი ძალიან მაღალი თანამდებობის პირებამდე მივა. დეპუტატის თქმით, ამ საქმის მიმართ არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ზოგადად საზოგადოებაშიც ეჭვები ყოველთვის იყო.

„ეს ყველაფერი იმჟამინდელი წინასაარჩევნო აჟიოტაჟის გადასაფარად ხდებოდა. საკმაოდ დრამატულად ვითარდებოდა მოვლენები 2008 წლის 21 მაისის არჩევნების წინ. მაშინ ეჭვები იყო, მაგრამ ჩვენი ხელი არ მიგვიწვდებოდა საგამოძიებო მასალებთან, ეს პროცესი დახურული იყო. ჩვენ ამაზე ვსაბურობდით, თუმცა ვერაფერს ვამტკიცებდით. შეიცვალა ხელისუფლება, მიდგომებიც შეიცვალა და ეს უმძიმესი სახის დანაშაული გამოაშკარავდა. ამ ტერაქტის დაგეგმვაში საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ. ერთია, ვინ განახორციელა ეს ტერაქტი და ვინ არიან უშუალოდ შემსრულებლები. ისინი დაკავებულები არიან, თუმცა საინტერესოა, სად მიდის კვალი. დარწმუნებული ვარ, კვალი უშუალოდ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებთან მიდის, მაგალითად ისეთებთან, როგორიც იყვნენ მერაბიშვილი, ახალაია და სხვები,“ - თქვა ცაგარეიშვილმა. იგი მიიჩნევს, რომ შემსრულებლები «ასეთ ავანტიურაზე“ თვითონ ვერ წავიდოდნენ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის უშუალო მითითება და დავალება რომ არ ყოფილიყო.

„არ გამოვრიცხავ, ეს სააკაშვილისგანაც მოდიოდეს. ეს ყოველივე არჩევნებთან იყო დაკავშირებული, რათა მოსახლეობის ყურადღება როგორმე აფხაზეთიდან მომდინარე საფრთხეებზე გადაეტანათ. გაწირეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გაანადგურეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ჭრილობები მიაყენეს რამდენიმე ადამიანს, ერთი მათგანი ამ ფაქტს კინაღამ შეეწირა და ბოლოს ისე გათავხედდნენ, რომ დაზარალებულებს დუმილის სანაცვლოდ ფულიც კი შეაძლიეს. დარწმუნებული ვარ, გამოძიება ამასაც დაადგენს, თუ უკვე დადგენილი არ აქვს, თუ რამდენი იყო გადახდილი და ეს თანხები ვინ გადაიხადა. საქმე გვქონდა კარგად დაგეგმილ ტერორისტულ აქტთან, რომელიც მაშინ ვერ გამომჟღავნდა, საზოგადოებისთვის ვერ გახდა ხილული და ვერც გახდებოდა. ჩამდენიც, შემკვეთიც ერთი და იმავე პოლიტიკური ძალის „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იყო,“ - ამბობს ცაგარეიშვილი.

ირინა იმერლიშვილის მსგავსად, ცაგარეიშვილიც ამჟამინდელ საარჩევნო გარემოზე საუბრობს: **„როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ამჟამინდელი და მაშინდელი წინასაარჩევნო პერიოდი. მგონი, ყველამ იგრძნო, რას გადავრჩით პირველი ოქტომბრით, ვინ მოვიშორეთ ხელისუფლებიდან, როგორი დონის ნაძირლები და სახელმწიფო დამნაშავეები მოვიშორეთ ხელისუფლებიდან, რომლებიც მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარდგებიან.“** - განუცხადა «პირWელს“ ცაგარეიშვილმა.

აღნიშნულ თემაზე კომენტარს აკეთებენ ყოფილი ხელისუფლების წევრებიც. «ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის დავით დარჩიაშვილის აზრით, „ამ პოლიტიკური ხრიკით“ ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ემსახურება. მისივე თქმით, ხურჩის ინციდენტის მოწყობაში ქართული მხარის დადანაშაულებით ნათელი ხდება, რომ პოლიციის დეპოლიტიზების შესახებ განცხადებები სიცრუეა.

„ბიძინა-მარგველაშვილის ტანდემის განცხადებები იმის შესახებ, რომ პოლიცია ისეთი დეპოლიტიზებულია, როგორც არასოდეს, ისეთივე სიმართლეა, როგორც 200 საწარმოს ახლად გახსნის ამბავი. უბედურება ის არის, რომ ამ პოლიტიკური ხრიკით, რომელიც ძალიან ახლომხედველია, ისინი, ფაქტობრივად, ისევ რუსეთის ფედერაციის ინტერესებს ემსახურებიან. წინა ხელისუფლების ოკუპაციასთან დაპირისპირების პოლიტიკის სრული დისკრედიტაცია თუ ასე გააგრძელეს, მსოფლიოში გაუჭირდება ვინმეს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა რუსეთთან დაპირისპირებაში,“ - განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

შსს-ს ინფორმაციით კი, ხურჩის ინციდენტის დამკვეთის და სხვა პირთა გამოსავლენად გამოძიება გრძელდება.

ფასიან პოლიტიკურ რეკლამას მხოლოდ ბურჯანაძე იყენებს

არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედიაპორტალმა“ გუშინ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ოფისში წინასაარჩევნო პერიოდში ფარული და პოლიტიკური რეკლამის მონიტორინგის შუალედური ანგარიში წარმოადგინა.

ანგარიშის თანახმად, უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის დათმობილი სატელევიზიო სივრცის გამოყენება ყველაზე ადრე «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ დაიწყო.

პროექტის დირექტორის მანანა ვარდიაშვილის თქმით, დავით ბაქრაძის საიმიჯო რგოლები «რუსთავი 2“-ის ეთერში პირველი სექტემბრიდან გადის. როგორც ვარდიაშვილი შენიშნავს, ბაქრაძის სარეკლამო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოპონენტი პოლიტიკური ძალის - «ქართული ოცნებისა“ და მისი პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის კრიტიკაზეა აგებული.

„მედიაპორტალის“ მონაცემებით, სექტემბერში ბაქრაძემ პოლიტიკური რეკლამისთვის სულ 272 წუთი გამოიყენა. აქედან, დავით ბაქრაძის საიმიჯო რგოლებს - 148 წუთი, ხოლო «ქართული ოცნების“ ანტირეკლამებს 124 წუთი დაეთმო.

10 სექტემბრიდან კი ყველა ტელეარხის ეთერში გადის რეკლამათა ციკლი - «არ შესრულდა. ოცნება არ მუშაობს“. ვიდეორგოლებში ნაჩვენებია ბიძინა ივანიშვილის და კოალიცია «ქართული ოცნების“ სხვა ლიდერთა ის წინასაარჩევნო დაპირებები, რომელთა შესრულებაც, „ნაციონალური მოძრაობის“ შეფასებით, მმართველმა გუნდმა ვერ შეძლო.

ციკლის ყველა ვიდეორგოლს ქვედა, მარჯვენა კუთხეში აქვს მინაწერი: «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რაც იმის დასტურია, რომ ეს რეკლამები «ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით მომზადდა და უფასო სარეკლამო დროში სწორედ მათ ეთვლებათ.

ანგარიშის ავტორები მიუთითებენ, რომ მაშინ როდესაც მაყურებელი «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაკვეთილ მარგველაშვილის ანტირეკლამას სატელევიზიო ეთერში 10 სექტემბრიდან ხედავდა, გიორგი მარგველაშვილმა მისთვის განკუთვნილი უფასო სარეკლამო დროს გამოყენება 28 სექტემბრიდან დაიწყო.

ორგანიზაციამ სექტემბერში კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ ათვისებული უფასო პოლიტიკური რეკლამის დროის შესახებაც წარმოადგინა ინფორმაცია: დავით ბაქრაძე - «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 272 წუთი; გიორგი თარგამაძე - «ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ - 113 წუთი; სერგო ჯავახიძე - «მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ - 107 წუთი; ზურაბ ხარატიშვილი - «ევროპელი დემოკრატები“ - 54 წუთი; გიორგი მარგველაშვილი - «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 22 წუთი; თეიმურაზ მჟავია - «ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ - 16 წუთი; კობა დავითაშვილი - «ხალხის პარტია“ - 0 წუთი.

«დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე კვალიფიცური სუბიექტის სტატუსით არ სარგებლობს. ბურჯანაძე ერთადერთი კანდიდატია, რომელმაც 2013 წლის სექტემბერში ტელეკომპანიების ეთერში ფასიანი პოლიტიკური რეკლამა (4.3 წუთის ხანგრძლივობის) განათავსა.

ფარული პოლიტიკური რეკლამის მაგალითად კი „მედიაპორტალი“ ბერა ივანიშვილის კონცერტის რეკლამას ასახელებს, რომელშიც რეპერი მოსახლეობას თავის კონცერტზე ეპატიჟება.

«მედიაპორტალის“ მონაცემებით, ტელეკომპანია «იმედის“ ეთერში სექტემბერში 30-ჯერ გავიდა ბერა ივანიშვილის რეკლამა, რომელსაც ფონად გასდევს მუსიკა ტექსტით - «საქართველო ჩვენ ვართ“. ვიდეორგოლის ხანგრძლივობა 36 წამია. აქედან 4 წამის განმავლობაში ბერა «ქართული ოცნების“ მაისურით ჩანს. როგორც მანანა ვარდიაშვილი ამბობს, «მედიაპორტალის“ მონიტორთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული სარეკლამო რგოლი ფარული პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავს.

სადავო სოციალური რეკლამის კატეგორიაში მოხვდა ვიდეორგოლი - «რთველი 2013 იწყება,“ რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ტელეეთერში სოციალური რეკლამის სტატუსით გავიდა. რეკლამის გზავნილია: „ახლა ყველაფერი მარტივია! სახელმწიფო პირდაპირ აფინანსებს ქარხნებს, რომ მათ გლეხებისგან ყურძენი ჩაიბარონ.“

კანონმდებლობის მიხედვით, სოციალური რეკლამა საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისკენ მიმართული რეკლამაა, რომელიც არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამაა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას.

„სოციალური რეკლამის სტატუსით გასული რგოლების განთავსებისთვის დამკვეთი ორგანიზაცია რეკლამის საფასურს არ იხდის. ვიდეორგოლი რთველი 2013 იწყება“ კი მთავრობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას წარმოადგენს,“ - აღნიშნავენ ანგარიშის ავტორები.

«მედიაპორტალის“ მონიტორთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ტელეკომპანიების ეთერში ასეთი რეკლამების განთავსება, მით უფრო იმ ფონზე, როცა საპარლამენტო არჩევნებისას «ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარება იყო, შესაძლოა, მმართველი პარტიის ფარულ რეკლამად იქნეს აღქმული.

ორგანიზაცია საბოლოო ანგარიშს ნოემბერში წარმოადგენს.

საკუთარი ინფორმაცია

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

2013 წლის 27 ოქტომბერს ტარდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საარჩევნო უბანზე მისვლისას თან იქონიეთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე - დევნილის მოწმობა), ხოლო თუ ხართ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, თან იქონიეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქის პასპორტი

ხმის მიცემის პროცედურები:

- ნაკადის მომწესრიგებელთან გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა

  გახსოვდეთ!
  თუ აღმოჩნდება, რომ გაქვთ მარკირება, ვერ შეძლებთ კენჭისყრის შენობაში შესვლას და კენჭისყრაში მონაწილეობას

- რეგისტრატორთან გაიარეთ მარკირების პროცედურა

  გახსოვდეთ!
  მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვერ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას

- ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტურეთ ბიულეტენის მიღება

- მიიღეთ რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული ბიულეტენი

- შედით ფარული კენჭისყრის კაბინაში, გააკეთეთ არჩევანი, შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სუბიექტის რიგითი ნომერი და გადაკეცეთ ბიულეტენი ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მიეცით ხმა

- კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, საარჩევნო ყუთთან მდგომი მაგიდიდან აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

- სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

- ხმის მიცემის შემდეგ დატოვეთ საარჩევნო უბანი

ცესკოს ცხელი ხაზი: 251 00 51
www.cesko.ge

ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲜᲘᲠᲘᲗ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სწორედ ეს წერილი დაედო საფუძვლად ამერიკელი ისტორიკოსის, ბენ ურვანდის უკვე სკანდალურად ქცეული წიგნის, «კოლაბორაცია - ჰოლივუდის პაქტი ჰიტლერთან» შექმნას.

ბენ ურვანდის წიგნი მაღაზიებში ოქტომბერში გამოჩნდა, მაგრამ უკვე მოასწრო როგორც თაყვანისმცემელთა, ისე მოწინააღმდეგეთა არმიის შეძენა. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით ხმამაღლა აპროტესტებენ, რადგან წიგნში მოყვანილი ფაქტები, საარქივო მასალა და ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები წლების განმავლობაში არსებულ წარმოდგენას ანგრევს. მოწინააღმდეგეთა შორის კინოს ისტორიკოსები სჭარბობენ, რომლებსაც ბენ ურვანდი მარტივად პასუხობს: «ისინი ისტორიას მხოლოდ ამერიკის არქივებში დაცული დოკუმენტაციით იცნობენ, გერმანიის არქივები კი მედლის სულ სხვა მხარეს გვიჩვენებს».

შესავალში ნახსენები წერილი ურვანდმა შემთხვევით, ბერლინის არქივში ჰიტლერის პირადი მიმოწერის შესწავლისას აღმოაჩინა. დოკუმენტებით ცნობილი გახდა, რომ ჰიტლერი პრაქტიკულად ყოველ დღე ახალ ამერიკულ ფილმს ნახულობდა და მათ შესახებ აზრსაც გამოთქვამდა. ირკვევა, რომ ფიურერი გრეტა გარბოს ფილმებზე ტიროდა, უყვარდა «კინგ კონგი», მაგრამ ვერ იტანდა «ტარზანს». ურვანდი ამბობს, რომ თავდაპირველად წიგნის დაწერა ჰიტლერის კინოგემოვნებაზე გადაწყვიტა, მაგრამ XX Century Fox-ის წერილმა მისი გეგმები შეცვალა. ამის შემდეგ ურვანდმა თითქმის ათი წელიწადი გერმანიისა და ამერიკის არქივებში გაატარა, ვიდრე საჭირო მასალა არ დაუგროვდა და მის წიგნად ქცევასაც შეუდგა.

როგორც ურვანდის წიგნიდან ირკვევა, 30-იანებში ჰოლივუდის სტუდიები ხშირად იწვევდნენ გერმანიის კონსულს ფილმების წინასწარ ჩვენებაზე, რათა გაქირავებამდე მიეღოთ დირექტივები, მოესწროთ კორექტივების შეტანა, პროგერმანული სცენებისა თუ დიალოგების ჩამატება და ასე შემდეგ.

ცხადია, ჩნდება კითხვა: როგორც ცნობილია, ჰოლივუდი, პრაქტიკულად, ებრაელების მიერ იყო დაარსებული, უმსხვილეს კინოსტუდიებსაც ისინი ფლობდნენ და საუკეთესო ფილმებსაც ებრაელი კინორეჟისორები ქმნიდნენ, ბევრმა ევროპელმა ებრაელმა კინემატოგრაფისტმა თავშესაფარი სწორედ ჰოლივუდში იპოვნა. ასეთ ფონზე კი ჰოლივუდის ჰიტლერის რეჟიმთან თანამშრომლობა მართლაც უცნაურია. ბენ ურვანდი ამასთან დაკავშირებით ამბობს: «ჩემი წიგნი მხოლოდ კონკრეტული ადამიანების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზეა, რომლებიც გერმანული ბაზრის შესანარჩუნებლად ირჯებოდნენ. მაგალითად, 1933 წელს, ჰიტლერის პარტიის არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში MGM-ის მმართველ ლუი მაიერს ანტიგერმანული აქცენტების მქონე ფილმის სცენარი წარუდგინეს, რაზეც მან შემდეგი განაცხადა: «მე უდიდეს კინოკომპანიას წარმოვადგენ, ჩვენ გერმანიაში დიდი მოგება გვაქვს და ვიდრე აქ მე ვიღებ გადაწყვეტილებებს, ამ ფილმის წარმოება არ დაიწყება». ასევე ცნობილია, რომ იმავე 1933 წელს «მოქალაქე კეინის» სცენარის ავტორმა ჰერმან მანკევიჩმა ვერც ერთი სტუდია ვერ დაითანხმა ფილმის გადასაღებად, რადგან მისი ნამუშევარი ჰიტლერის ხელისუფლების მიერ ებრაელთა მოსალოდნელ დევნას აღწერდა - ამ პროექტის დაბლოკვაში კი მთავარი როლი სწორედ გერმანიის კონსულმა შეასრულა».

ბენ ურვანდი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ამ «თანამშრომლობის» ინიციატორი გერმანია იყო, რომლის პროპაგანდის სამინისტროც მიიჩნევდა, რომ კინემატოგრაფი მათ «დიად საქმეს» საჭირო ფონს შეუქმნიდა. მალე კინოსტუდიები ნაცისტების ბრძანებების შესრულებაზე გადავიდნენ. მაგალითად, დოკუმენტებით ირკვევა, რომ თანამშრომლებსაც გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს მითითებით იღებდნენ ან ანთავისუფლებდნენ, რაც სტუდიებს გერმანიაში დარჩენის შანსს აძლევდა. ასევე 1938 წელს როდესაც Paramount-სა და XX Century Fox-ს გერმანიიდან თანხის გამოტანის პრობლემა შეექმნათ, იძულებული გახდნენ, პრონაცისტური კინოქრონიკები გადაეღოთ, ხოლო MGM-მა სამხედრო ტექნიკისთვისაც გამოჰყო თანხა.

ნაცისტებისა და ჰოლივუდის «თანამშრომლობამ» ვერც დიდ რეჟისორებს აუქცია გვერდი. ბენ ურვანდი ჩარლი ჩაპლინის შესანიშნავი «დიდი დიქტატორის» შესახებაც წერს. «კონგრესის ბიბლიოთეკის არქივში აღმოვაჩინე დოკუმენტი, რომელსაც ჩაპლინის სცენარის ორიგინალი ერთვოდა (მისი არსებობის შესახებ აქამდე არაფერი იყო ცნობილი). როგორც გახსოვთ, ფილმი «ჰიტლერის» მონანიებით, გაერთიანებისა და ბოროტების დამარცხების მოწოდებით ანუ ოპტიმისტურად მთავრდება. ორიგინალ სცენარში კი ამ სიტყვის შემდეგ მას საკონცენტრაციო ბანაკში ამწყვდევდნენ ანუ დასასრული ფაქტობრივად მთელი კაცობრიობის სურვილს წარმოადგენდა, რაც გერმანიის კონსულის ჩარევის შემდეგ სცენარიდან ამოიღეს», - ამბობს ბენ ურვანდი, რომლის წიგნშიც უამრავი საინტერესო, დაუჯერებელი ფაქტებია მოთხრობილი, რომლებიც ჰოლივუდის ისტორიას ფაქტობრივად თავდაყირა აყენებს.

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ „ᲓᲣᲠᲣᲯᲘ„



საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ მიერ დაწესებული პირველი დამოუკიდებელი თეატრალური პრემია დურუჯი“ უკვე მეხუთედ გაიცა. წელს 34 განაცხადიდან 5 წევრისგან შემდგარმა ჟიურიმ ორთვიანი მუშაობის შემდეგ საუკეთესონი გამოავლინა. ჟიურის კი წელს წამოადგენდნენ: თეატრმცოდნეები: გია ცქიტიშვილი, თამარ ბოკუჩავა, ლაშა ჩხარტიშვილი, ნიკა წულუკიძე და მწერალი ნესტან-ნენე კვინიკაძე. საბოლოო ფარული კენჭისყრა პრემიის ლაურეატების გამოსავლენად ჟიურის წევრებს შორის დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდა და გამარჯვებულების ვინაობა სადღესასწაულო ცერემონიაზე გამოცხადდა.

- საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი - პრემიის ოდენობა შეადგენს 14 000 ლარს;

- საუკეთესო მსახიობი ქალი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;

- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;

- საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;

- საუკეთესო სცენოგრაფი - პრემიის ოდენობა შეადგენს 2 000 ლარს;

- საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი - გადაეცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10 000 ლარის ოდენობით მომავალ, 2013-2014 წლების სეზონზე სპექტაკლის დასადგმელად.

აღნიშნულ ნომინაციაში გაიმარჯვეს:

საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი“:

დავით დოიაშვილი

(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“

უილიამ შექსპირი

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

საუკეთესო მსახიობი ქალი“:

ანა ალექსიშვილი

(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“

უილიამ შექსპირი

რეჟისორი - დავით დოიაშვილი

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“:

არჩილ სოლოღაშვილი

(შუა) ზაფხულის ღამის სიზმარი“

უილიამ შექსპირი

რეჟისორი - დავით დოიაშვილი

თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი

საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი“:

დავით გაბუნია

საპნის ოპუსი“

მიხეილ ჩარკვიანი

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

საუკეთესო სცენოგრაფი“:

ანკა კალატოზიშვილი

მაგიის საოცრებანი“

რიუნოსკე აკუტაგავას მოთხრობების მიხედვით

რეჟისორი - გიორგი თავაძე

ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი“:

მიხეილ ჩარკვიანი

კატცელმახერი“

რაინერ ვერნერ ფასბინდერი

სამეფო უბნის თეატრი

ქურთი მეამბოხეები თურქეთში ბრძოლის განახლებით იმუქრებიან

ქურთი მეამბოხეები მზად არიან, ჩრდილოეთ ერაყიდან კვლავ შეიდნენ თურქეთში და იქ განაახლონ ბრძოლები, თუ ანკარა სამშვიდობო პროცესზე არ იზრუნებს. ქურთების მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ქემილ ბაიიკმა «როიტერს“ განუცხადა, რომ თურქეთი სირიაში იმ ისლამისტ მეამბოხეებს უჭერს მხარს, რომლებიც ქურთების წინააღმდეგ იბრძვიან.

ანკარა ქურთების წინააღმდეგ მეამბოხეების მხარდაჭერას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ რეგულარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ სირიაში არსებულ ქურთების ჯგუფის ლიდერთან, რომელსაც ქურთების მუშათა პარტიასთან აქვს კავშირი.

ქურთების ლიდერმა აბდულა ოჯალანმა თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკებები გასულ წელს დაიწყო. ოჯალანმა ქურთებს ამბოხების შეწყვეტისა და თურქეთის ტერიტორიის დატოვებისაკენ მოუწოდა, თუმცა ეს პროცესი გასულ თვეში შეჩერდა, ვინაიდან, ქურთების განცხადებით, ანკარა პირობებს არ ასრულებს. «პროცესი ჩიხში შევიდა. ისინი ან ქურთების მოძრაობასთან აზრიან მოლაპარაკებებზე დათანხმდებიან ან თურქეთში სამოქალაქო ომს მიიღებენ,“ - განაცხადა ბაიიკმა.

უფლებადამცველები: უპილოტოების იერიშები, შესაძლოა, სამხედრო დანაშაულია

ადამიანის უფლებადამცველმა ორმა მსხვილმა საერთაშორისო ჯგუფმა შეშფოთება გამოთქვა პაკისტანსა და იემენში ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატებიდან განხორციელებული იერეშიების გამო, ვინაიდან უკანასკნელ წლებში განხორციელებული ზოგიერთი იერიში, შესაძლოა, სამხედრო დანაშაულს გაუთანაბრდეს. სამშაბათს «ემნესტი ინტერნეიშენალი და «ჰუმან რაითს უოტჩი» მიერ გამოქვეყნებულ კრიტიკულ მოხსენებებში დეტალურად არის განხილული ამერიკის მიერ განხორციელებული დარტყმები, რომლებსაც მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლა. «ჰუმან რაითს უოტჩის» მოხსენებაში მითითებულია, რომ იემენში განხორციელებული, შესწავლილი ექვსი იერიშიდან «ორი იერიში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების აშკარა დარღვევას წარმოადგენს, ოთხი მათგანი კი - სამხედრო დანაშაულს.“

ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებული იერიშები ამერიკასა და პაკისტანს შორის ურთიერთობის გამწვავების უმთავრეს მიზეზად იქცა. თუმცა, ამ დროისთვის ვითარება შედარებით გაუჯობესდა და მალე პაკისტანის პრემიერი თეთრ სახლში ბარაკ ობამას შეხვდება. ამერიკა აცხადებს, რომ მსგავსი იერიში შეირაღებული მებრძოლების წინააღმდეგ საბრძოლველ ყველაზე ეფექტურ გზას წარმოდგენს.

რუსეთის საჰაერო ძალების სარდალს ირანში ამერიკული უპილოტოს ასლი აჩუქეს

«თეჰრან ტაიმსის“ ცნობით, ირანში ვიზიტის დროს რუსეთის საჰაერო ძალების სარდალ ვიქტორ ბონდარევს ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის აეროკოსმოსური ძალების სარდალმა ამირ ალი ჰაჯიზადეჰმა ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის «ScanEagle“-ს ასლი აჩუქა. ჰაჯიზადეჰის თქმით, ეს «საფრენი აპარატი ირანის რესპუბლიკის ტექნიკური შესაძლებლობების სიმბოლოს წარმოადგენს.“ მსგავს საფრენ აპარატებს ირანის ერთ-ერთ ქარხანაში უკვე ამზადებენ. გავრცელებული ინფორმაციით, წარმოება 2012 წლის დეკემბრის ბოლოს ირანის მიერ ჩამოგდებული ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატის მიხედვით ხდება.

ავსტრალიის დედაქალაქში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა

ავსტრალიის ფედერალური ტერიტორიის პარლამენტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ერთსქესიან წყვილებს ქორწინების რეგისტრაციის საშუალებას მისცემს. მიღებული კანონპროექტის მიხედვით, იმ ერთსქესიან წყვილებს, რომლებიც სხვა რეგიონებში ცხოვრობენ, ამ ტერიტორიაზე ქორწინება მაინც შეეძლებათ. რეგიონული მთავრობის ხელმძღვანელ კეტი გალაჰერის თქმით, ერთსქესიანთა პირველი ქორწილის გამართვა უკვე წლის ბოლოსთვის იქნება შესაძლებელი.

ონიშჩენკო «როსტპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელის თანამდებობას ტოვებს

«როსტპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო ამ თანამდებობას უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო ტოვებს. მის ადგილს ანა პოპოვა დაიკავებს, რომელიც მისი მოადგილეა. აღნიშნულის შესახებ ვიცე-პრემიერმა ოლგა გოლოდეცმა განაცხადა. მისი თქმით, «პოპოვა კვალიფიცირებული ექიმი და კარგი სპეციალისტია.“

რასმუსენი: ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ნატოს მოსახლეობას მთლიანად დაიცავს

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა 2018 წლისთვის ევროპის მოსახლეობას მთლიანად დაიცავს სარაკეტო საფრთხისგან. «ჩვენ სარაკეტო საფრთხეს რეალურ საფრთხედ განვიხილავთ, ამიტომ ჩვენ თავდაცვის შესაფერისი სისტემაც გვჭირდება. 2018 წლისთვის ეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა მთლიანად დაცავს ევროპის მოსახლეობას და ნატოს წევრ ქვეყნებს,“ - აღნიშნულის შესახებ ანდერს ფოგ რასმუსენმა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის დაწყების წინ განაცხადა. გენმდივანმა აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ეს სისტემა თავდაცვით ხასიათს ატარებს: «ამიტომ გვჯერა, რომ ჩვენ რუსეთი, უბრალოდ, სიტყვებზე გვენდობა.“ მისი თქმით, ყველაზე მარტივი გზა, რომ რუსეთი ამ მტკიცებულების უტყუარობაში დარწმუნდეს, ნატოსთან ამ სფეროში აქტიური თანამშრომლობაა: «ჩვენ დიალოგის განახლებისთვის ძველებურად მზად ვართ და შეგვიძლია, რუსეთისთვის საინტერესო ყველა კითხვას გავცეთ პასუხი,“ - დაამატა რასმუსენმა. ბოლო 5-6 წელია, რუსეთის ხელისუფლება ჯიუტად აცხადებს, რომ ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთისთვის საფრთხის შემცველად.

მედვედევი ჩინეთში ჩავიდა

რუსეთის პრემიერ-მინისტრი დმიტრი მედვედევი პეკინში ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში მედვედევი რუსეთისა და ჩინეთის მთავრობის ლიდერების მე-18 რეგულარულ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას და ქვეყნის ხელმძღვანელ სი ძინპინს შეხვდება.

მოამზადა თამთა კახაძემ

ობამა საფრანგეთის განაწყენებას ერიდება

საუბრისას, როგორც ირკვევა, ოლანდმა „სერიოზული უკმაყოფილება“ გამოხატა და თეთრი სახლის ამჟამინდელი პატრონისგან ამომწურავი ახსნა-განმარტება მოითხოვა. ოლანდმა განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკა „მეგობრებსა და მოკავშირეებს შორის მიუღებელია და საფრანგეთის მოქალაქეების პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს“. პასუხად ბარაკ ობამამ ოლანდს აუხსნა, რომ „აშშ-მ უკვე დაიწყო სპეცსამსახურების მიერ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების მეთოდების გადახედვა“.

თეთრ სახლში განაცხადეს, რომ აშშ და საფრანგეთი მოკავშირებად და მეგობრებად რჩებიან, ინარჩუნებენ მჭიდრო საქმიან ურთიერთობებს საკითხთა ფართო სპექტრში, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში.

ამ სკანდალს დაემთხვა აშშ სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ვიზიტი პარიზში. კერიმ ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მოქმედება იმ ოპერაციის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა აშშ-ს მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მისი სიტყვებით, აშშ საფრანგეთთან კონსულტაციებს გამართავს, რათა შენარჩუნდეს ბალანსი, ერთი მხრივ, უსაფრთხოების საკითებში აშშ-ს კანონიერ ინტერესებსა და, მეორე მხრივ, მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ აშშ-ს მოკავშირეთა შიშს შორის.

«მონდში» გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების გარდა, აშშ-ს სპეცსამსახურები მასობრივად უსმენდნენ სხვა მოქალაქეებსაც, მათ შორის ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებს. ზარების „დაჭერა“ საკვანძო სიტყვებით ხდებოდა და მხოლოდ ერთ თვეში აშშ-მ საფრანგეთში 70 მილიონი კონტაქტი „გადაამოწმა“.

აშშ კვლავ ცდილობს სნოუდენის ხელში ჩაგდებას და გასამართლებას. ეს უკანასკნელი კი რუსეთს აფარებს თავს. მას მოსკოვმა ჯერჯერობით ერთწლიანი დროებითი თავშესაფარი მისცა - 2014 წლის აგვისტომდე. მისი რუსეთში სამუდამოდ დარჩენაც არ არის გამორიცხული.

ვოლგოგრადის ტერაქტზე ინფორმაცია მატულობს

პირველი გვერდიდან

გუშინდელი მონაცემებით, მსხვერპლის რაოდენობა არ გაზრდილა - დაღუპულია 7 ადამიანი, თვითმკვლელი ტერორისტის ჩათვლით. თუმცა მოიმატა დაჭრილების რიცხვმა. საინფორმაციო სააგენტოები განსხვავებულ მონაცემებს ავრცელებენ. გუშინ ვოლგოგრადის საავადმყოფოებში 27-დან 31-მდე დაჭრილი რჩებოდა. 10-11 ადამიანს ამბულატორიულად მკურნალობდნენ. 4 დაჭრილი, რომელთა მდგომარეობაც განსაკუთრებით მძიმეა, საგანგებო სიტუაციების სამსახურის თვითმფრინავით სამშაბათს, გამთენიისას, მოსკოვში გადაიყვანეს. დანარჩენების მკურნალობისთვის, ოფიციალურ პირთა მტკიცებით, ვოლგოგრადში ყველა პირობა არსებობს. ქალაქში და ოლქში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული. ამას გარდა, შემოღებულია ტერორისტული საფრთხის „ყვითელი“ დონე, რაც ორი კვირის მანძილზე გაგრძელდება. ეს გულისხმობს ავტოტრანსპორტისა და საეჭვო ადამიანების უფრო სკურპულოზურ შემოწმებას, ვიდრე ჩვეულებრივად. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სამი მუხლით - „ტერაქტი“, „მკვლელობა“ და „იარაღის უკანონო ბრუნვა“.

აფეთქების სიმძლავრე, ექსპერტების მტკიცებით, 2-3 კილოგრამი ტროტილის ეკვივალენტი იყო. ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ გუშინ უკვე ვწერდით - მასში შედიოდა ტროტილი, ორი ხელყუმბარა და სხვადასხვა დამაზიანებელი ელემენტები. ამას გარდა, ავტობუსში კიდევ ერთი ხელყუმბარა იპოვეს, რომელიც ტერაქტისას არ აფეთქებულა და გამნაღმველებმა გააუვნებელყვეს.

აფეთქებულ ავტობუსში ნაპოვნია თვითმკვლელი-ტერორისტის, 30 წლის დაღესტნელი ქალის ნაიდა ასიალოვას პასპორტიც და მახაჩყალიდან-მოსკოვამდე ავტობუსის ბილეთიც. ეს იძლევა მარტივი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ აფეთქება რამდენიმე ვარიანტად მზადდებოდა და სრულიად დასაშვებია, მოსკოვშიც განხორციელებულიყო. გამოძიება ვარაუდობს, რომ ტერაქტის მომზადებაში 5 ადამიანი მონაწილეობდა. თვითმკვლელი ქალის გარდა, პირველ რიგში, ეჭვი აქვთ მის 22 წლის მოსკოველ მეუღლე (მათი ქორწინება ოფიციალურად გაფორმებული არ არის) დმიტრი სოკოლოვზე (აქვს მეტსახელი „ჟირაფი“, აგრეთვე მუსლიმური სახელი აბდულ ჯაბარი). ის შარშან ზაფხულში მოსკოვიდან გაქრა და აქამდე, სავარაუდოდ, დაღესტანში ორი აფეთქების მოწყობაც მოასწრო. სოკოლოვი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების სპეციალისტად მიიჩნევა და, სავარაუდოდ, მან დაამზადა ნაიდა ასიალოვასთვის ბომბი ვოლგოგრადის ავტობუსში ასაფეთქებლად. გამოძიება ვარაუდობს, რომ ტერაქტის მომზადებაში აგრეთვე რუსლან კაზანბიევი და ყურბან ომაროვი მონაწილეობდნენ, ორივე 25 წლის დღესტნელია. ტერაქტის მთავარ ორგანიზატორად კი 29 წლის არსანლი კამბულატოვს მიიჩნევენ, რომელიც უკვე ნახევარი წელიამ დაღესტანში ტერორისტულ ბანდფორმირებას ხელმძღვანელობს.

მედიის წარმომადგენლები ასიალოვას მშობლიურ სოფელშიც ჩავიდნენ და მოსკოვში სოკოლოვის მშობლებსაც ესაუბრნენ. ნაიდა ასიალოვა, როგორც ირკვევა, საკუთარ სოფელში 10 წელია, აღარ გამოჩენილა, ხოლო დედასთან ურთიერთობა 7 წლის წინ გაწყვიტა. ნათესავებმა ბუნდოვნად იცოდნენ, რომ ის ტერორისტებს დაუკავშირდა, მისმა დედამ კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ ნაიდა აქტიური მუსლიმი გახდა და ჰიჯაბი სოკოლოვზე მეორე გათხოვების შემდეგ დაიხურა. მისი მძიმე ავადმყოფობის შესახებ ინფორმაცია, რაზეც გუშინ ვწერდით, ზოგმა ექსპერტმა ეჭვქვეშ დააყენა. ისინი ვარაუდობენ, რომ, მართალია, მისი მკურნალობისთვის სოციალური ქსელებით სახსრებს აგროვებდნენ, მაგრამ რეალურად ეს ფული ტერორისტულ საქმიანობას ხმარდებოდა. თუმცა დმიტრი სოკოლოვის დედამ დაადასტურა, რომ ნაიდა ასიალოვა ხშირად ავადმყოფობდა.

ვოლგოგრადის ტერაქტის შემდეგ ზოგმა ექსპერტმა, და არა მხოლოდ რუსეთში, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოება ეჭვქვეშ დააყენა. ამ სპორტული ღონისძიების „ჩამწარებით“ „კავკასიის იმარატის“ ლიდერი დოკუ უმაროვი დიდი ხანია, იმუქრება. რუსეთის ხელისუფლება კი აცხადებს, რომ სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიმართავენ და იქ შეუმოწმებლად „ჩიტიც ვერ შეფრინდება“.

მიმომხილველების ნაწილი ვოლგოგრადის ტერაქტს სირიაში მიმდინარე დაპირისპირების გამოძახილად მიიჩნევს ამ კონფლიქტის მიმართ რუსეთის პოზიციის გამო. შესაძლოა, საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები სამწლიანი სიმშვიდის შემდეგ რუსეთით კვლავ დაინტერესდნენ სწორედ მისი როლის გამო სირიის მოვლენებში. ეს მიმომხილველები ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში ბრძოლაში გამოწრთობილი ისლამისტი ჩრდილოკავკასიელების სახლში დაბრუნებას შიშით ელოდებიან.

ექსპერტების ნაწილი კი მთელ რუსეთში ვაჰაბიტების მომრავლებაზე ამახვილებს ყურადღებას. მათი მონაცემებით, მხოლოდ მოსკოვში დღეს ათეულ ათასობით ვაჰაბიტი და ასეულობით ტერორისტია. დაღესტანიც, ასტრახანის და მოსკოვის შემოგარენიც გადაბირების ცენტრებად გადაიქცა, სადაც ადამიანებისთვის „ტვინის გადაბრუნებაზე“ აქტიურად მუშაობენ. ამაზე ჩივიან რუსეთში ჩასული ტაჯიკები და უზბეკებიც. შუააზიელებით, ძირითადად, „ჰიზბ უტ-ტაჰრირია“ დაინტერესებული. დღეს თუ რუსეთში ვინმე ისლამის მიმდევარი ხდება, მათი 90 პროცენტი სწორედ აგრესიული ვაჰაბიტების ბანაკში ექცევა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ გადამბირებლებს რეალურად არავინ ებრძვის, სინამდვილეში კი მათ ტერორისტების მსგავსად უნდა ანადგურებდნენ ან მკაცრად სჯიდნენ.

გუშინ ვოლგოგრადში, ტერაქტის ადგილიდან ახლოს მდებარე მეჩეთს გამთენიისას ცეცხლი გაუჩინეს. კამერებმა დააფიქსირეს, რომ ორმა ადამიანმა სამლოცველო დარბაზში მინები ჩაამსხვრია და შიგ „მოლოტოვის კოქტეილები“ შეყარა. ცეცხლის ჩაქრობა ადვილად მოხერხდა მეხანძრეთა მისვლამდეც, თუმცა შენობამ ზარალი მაინც განიცადა. ვოლგოგრადელი მუსლიმები თავს დაცულად ვერ გრძნობენ. ვოლგოგრადის იმამის რუსტამ-ხაზრათ იაკუბოვის სიტყვებით, მუსლიმები უდანაშაულო ადამიანების მკვლელობას გმობენ.

აკობიას გუნდი ელიტრაუნდშია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის უკანასკნელი, მესამე ტურის მატჩი ჰოლანდიის ნაკრებთან 0:1 წააგო. ამ მარცხის მიუხედავად, ჩვენი გუნდი ევრო 2014-ის ელიტრაუნდში მაინც იასპარეზებს - ნოდარ აკობიას გუნდმა მეორე ეტაპის საგზური შაბათს, ფარერის კუნძულებთან 2:0 მოგების შემდეგ გაინაღდა.

დღევანდელ მატჩს მხოლოდ ერთი დანიშნულება ჰქონდა - გამარჯვებული პირველ ადგილს დაიკავებდა. ჰოლანდიელებმა, რომლებმაც მთელი მატჩი უკეთ ჩაატარეს, ერთადერთი გოლი გაიტანეს: მარლოს სლაბეკოორნმა საჯარიმოს ხაზთან მიიღო უხეიროდ მოგერიებული ბურთი, ხუთ მცველს აუარა გვერდი და მეკარესთან მახვილი კუთხიდან შეჭრილმა ზუსტად დაარტყა - 0:1.

ამ მომენტის, გარდა მაარტენ სტეკელენბურგის გუნდს კიდევ რამდენიმე გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ანგარიში აღარ გაზრდილა. ხაზგასასმელია ჰოლანდიელთა მე-14 ნომრის აბდელჰაკ ნურის შესანიშნავი თამაში: ტექნიკური ნახევარმცველი ჩინებულად ანაწილებდა ბურთს და მოხდენილი პასებით თავდამსხმელები მეკარეს სამჯერ შეატოვა.

ჯგუფის მეორე მატჩში, რომელიც გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე გაიმართა, ფარერის კუნძულების ნაკრებმა 1:0 დაამარცხა სან მარინო და მესამე ადგილი დაიკავა. ცნობისთვის: სანმარინოელმა ჭაბუკებმა საკვალიფიკაციო ტურნირში ერთადერთი გოლი სწორედ საქართველოს გაუტანეს.

ევრო 2014-ის ელიტრაუნდი გაზაფხულზე გაიმართება. მეტოქეები წილისყრის შემდეგ გაირკვევა.

22 ოქტომბერი, 2013. ევრო 2014 - საკვალიფიკაციო ჯგუფი. თბილისი, მიხეილ მესხი. 200

საქართველო 0:1 ჰოლანდია

გოლი: 0:1 მ.სლაბეკოორნი (26)

საქართველო: ოთო გოშაძე, ნიკოლოზ კევლიშვილი, რატი კაკიაშვილი (კაპ), ცოტნე ნადარაია, ირაკლი კომახიძე, ლადო მამუჩაშვილი, გიორგი ჯობავა, ნიკა ლაშხია (გიორგი ბერიძე 5), გიორგი ქობულაძე, ბექა მიქელთაძე (გიორგი კიკნაძე 60), ირაკლი ბიძინაშვილი (ნიკა ქორიძე 41)

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

ჰოლანდია: ს.ვან ბლადერენი, კ.ვეენდორპი (კაპ), კ.ვერდონკი, ვ.ვერლოო, დ.ვან დე ბეეკი, ი.შუურმანი (დ.ვან ჰაარენი 54), მ.სლაბეკოორნი, ე.ბერენშტეინი (ს.ოვობოვალე 60), ა.ნური, ჰ.ტერ ავესტი, ე.ვალიანი (დ.ვან დერ მოოტი 54)

მწვრთნელი: მაარტენ სტეკელენბურგი

გაფრთხილება: გიორგი ჯობავა, ნიკა ქორიძე, კ.ვერდონკი

მსაჯები: ალექსანდერ ჰარკამი (ავსტრია); ანდრეას ვიტშნიგი (ავსტრია), ხარლამბოს გეორგიუ (კვიპროსი)

სამინისტროს პრესცენტრი

თბილისის აკადემია

ზურა თალაკვაძე

„აკადემია", თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატის ჭოკერი

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი ჩაატარა - თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატი. თბილისში კალათბურთი უკვე კარგი ტონია. საქართელოს ნაკრები იგებს. საქართველოს ნაკრებს იცნობენ და ზაზა ფაჩულია ამერიკულ სუპერლიგაში ერთ-ერთი ელჩია. გემოვნებიანი, პოპულარული, კალათბურთის ელჩი. ელჩობაზე ბევრი გაიქაჩება. ელჩობა გადამდებია და გადამდები უნდა იყოს ისიც, რასაც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი აკეთებს. უბრალოდ, ატარებს ტურნირებს. უბრალოდ, ამ ტურნირების ჩატარებაში კავშირს საქართველოს კალათბურთის (ეროვნული) ფედერაცია ეხმარება. უბრალოდ, ეს კარგი და რეალურად საჭირო ივენთებია. და უბრალოდ, ამ ტურნირებზე ბევრი კარგი ბავშვი მოდის, მოდიოდა, მოვა. ტურნირის დღეები ბევრ კარგ მოგონებას ტოვებდა და ყველაზე თბილი მოგონება თვითონ ტურნირი იყო. გავიაროთ დეტალები.

აკადემიის დარბაზში დასრულდა 16-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელიც ტურნირის არაოფიციალური მასპინძლის, «აკადემიის» გამარჯვებით დაიხურა. ფინალში ამ გუნდმა მშვიდად მოუგო «დინამოს» - 91:47.

პირველი მეოთხედიდან «აკადემია», რომლის მთავარი მწვრთნელია გია კაზანჯიანი, გადის წინ და აკონტროლებს სიტუაციას. უკეთესი სასროლი სელექცია, უკეთესი და უფრო აკურატული თამაში დაცვაში და, მთლიანობაში, უფრო საჩემპიონო, დამაჯერებელი კალათბურთი. «აკადემიამ» ყველა ძირითად სათამაშო და სტატისტიკურ კომპონენტში მოიგო.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა «აკადემიის» მსროლელი, ერთ-ერთი პერსპექტიული მოთამაშე დავით აფხაზავა, რომელმაც ფინალში 23 ქულა დააგროვა და თამაშიდან 18/9 სროლა გამოიყენა. მას პრიზი გადასცა საქართველოს კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრმა ალეკო პეტრიაშვილმა. მანვე დააჯილდოვა ყველაზე შედეგიანი მოთამაშეც, «ზაზა 1»-ის გუნდის წევრი რატი ტოლიაშვილი, რომელმაც 5 თამაშში 148 ქულა (29.6) დააგროვა.

თბილისის ჩემპიონატი დასრულდა. ტურნირი ჩაატარეს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ.

ტურნირის ჩემპიონს, «აკადემიას», მთავარი თასი გადასცა თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ვიცეპრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ, ხოლო ტურნირი დახურა ამავე კავშირის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა.

გილოცავთ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას.

ფინალი

დინამო - აკადემია 47:91

12:24, 14:19, 9:19, 12:29

დინამო: **ჭანტურია** (13+10 მოხსნა), **დავით დარბაიძე** (12), **გოგუა** (7), **გვიანიძე** (6), **თვალაბეიშვილი** (4), **სულხანიშვილი** (3), **გოგიჩაიშვილი** (2).

აკადემია: **აფხაზავა** (19), **ნიკა დარბაიძე** (18+10 მოხსნა), **ბელაშვილი** (15+9 მოხსნა+6 პასი), **ცხოვრებოვი** (13), **აკობია** (9), **ლეონიძე** (7), **ცაავა** (4), **კოსტავა** (3), **დვალი** (3).

* * *

ტურნირის ჯოკერი, აკადემია .

კაპიტანი: გიორგი ცხოვრებოვი

ლიდერები: ლუკა ბულაშვილი, დავით აფხაზავა.

გუნდი: გიორგი ცხოვრებოვი, ლუკა ბულაშვილი, გუგა დვალი, საბა აკობია, ნიკა ლეონიძე, ნიკა დარბაიძე, ბესო ცაავა, დავით აფხაზავა, კოტე კოსტავა.

ტურნირის CV: მშვიდი, დამაჯერებელი კალათბურთი.

ფინალამდე: ენერგია რაციონალურად გადაანაწილა

პერსპექტივა: გუნდი, რომელიც მოუმატებს და უფრო დაიხვეწება.

მთავარი მწვრთნელი: გია კაზანჯიანი.

ასისტენტი: ვასილ სომხიშვილი.

* * *

როგორც ვთქვით, 16-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატის ფინალში «აკადემიამ» 91:47 მოუგო «დინამოს». დამაჯერებლად, უპრობლემოდ მოუგო. ფინალის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა ჩემპიონის მთავარმა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა.

«ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ჩვენი გუნდი უშვებდა შეცდომებს, მაგრამ ვცდილობდით ამ შეცდომების გადაფარვას. საბოლოოდ ფინალში ჩვენი საუკეთესო კალათბურთი ვითამაშეთ. ალბათ, უნდა გამოვასწოროთ თამაშის ხარისხი, მეტი უნდა მოვინდომოთ, მაგრამ ფინალში თითქმის ყველაფერი, ცალკეული ეპიზოდების გარდა, მაღალ დონეზე გავაკეთეთ. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ტურნირის ორგანიზატორებს და იმედი მაქვს, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება», - ამბობს **კაზანჯიანი**.

* * *

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი ჩაატარა. თბილისის 16-წლამდელთა ჩემპიონატი. თბილისში კალათბურთი უკვე კარგი ტონია. საქართელოს ნაკრები იგებს. საქართველოს ნაკრებს იცნობენ და ზაზა ფაჩულია ამერიკულ სუპერლიგაში ერთ-ერთი ელჩია. გემოვნებიანი, პოპულარული, კალათბურთის ელჩი. და ელჩობაზე ბევრი გაიქაჩება. ელჩობა გადამდებია და გადამდები უნდა იყოს ისიც, რასაც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი აკეთებს. უბრალოდ, ატარებს ტურნირებს. უბრალოდ, ამ ტურნირების ჩატარებაში კავშირს საქართველოს კალათბურთის (ეროვნული) ფედერაცია ეხმარება. უბრალოდ, ეს კარგი და რეალურად საჭირო ივენთებია. და უბრალოდ, ამ ტურნირებზე ბევრი კარგი ბავშვი მოდის, მოდიოდა, მოვა. ტურნირის დღეები ბევრ კარგ მოგონებას ტოვებდა და ყველაზე თბილი მოგონება თვითონ ტურნირი იყო.

სანიკიძე + შერმადინი = Georgia

ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი შერმადინის „სარაგოსასთან" დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს ესპანური Heraldo, რომლის მიხედვით, სავსებით შესაძლებელია არაგონული კლუბის მაისურებზე Georgia გაიტანონ. ეს კი იმისთვის გაკეთდება, რომ საქართველოს, როგორც ერთ-ერთ ტურისტულ ქვეყანას, ერთგვარი რეკლამირება გაუწიონ. ესპანური გამოცემის თანახმად, ამ საკითხის თაობაზე ქართულ მხარესთან მოლაპარაკება დაიწყო.

ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება ევროთასებზე „სარაგოსას" მაისურები „საქართველოს" წარწერით დამშვენდეს. საუბარია აპრობირებულ მეთოდზე, რომელსაც საფეხბურთო კლუბი „ატლეტიკო" მიმართავს - მადრიდელებს მაისურზე „აზერბაიჯანი" აწერიათ, რითაც ესპანური კლუბი ჩვენი მეზობელი ქვეყნის პოპულარიზაციას ეწევა. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში გაურკვეველია, საქართველოს ტურისტული კუთხით რეკლამირების სანაცვლოდ რა სარგებელი ექნება „სარაგოსას".

Heraldo-ს ინფორმაციით, სპონსორული შეთანხმება ჯერ სამუშაო პროცესშია. ჯერჯერობით კი სარაგოსელთა მაისურებზე დატანილია Zaragoza Deporte, უკან კი A, რაც არაგონის მხარეზე მიანიშნებს. ასე რომ, ამ მხრივ საინტერესო სიახლის მოლოდინში ვართ.

„სარაგოსას" ესპანურ ლიგაში ერთი მოგება (ბილბაო ბასკეტთან 86:77) და ერთი წაგება (კანარიასთან 60:66) აქვს. მორიგ ტურში, 27 ოქტომბერს, სარაგოსელები სტუმრად „მონბუსს" შეხვდებიან.

ფედერაციის გამგეობა აღმოსავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებს შეხვდა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრებმა საკალათბურთო სამყაროს წარმომადგენლებთან მორიგი, რიგით მეოთხე შეხვედრა გამართეს. გამგეობის გადაწყვეტილებით, ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანო სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ხვდება. დღეს რუსთავში ფედერაციის გამგეობის წევრები აღმოსავლეთ საქართველოს საკალათბურთო წრეებს შეხვდნენ და ისაუბრეს აქტუალურ საკითხებზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ რუსთავის, თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანის, მარნეულის, ლაგოდეხისა და ყვარლის საკალათბურთო წრეების წარმომადგენლები - მწვრთნელები, მსაჯები, ვეტერანი კალათბურთელები, რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტები და თანამშრომლები. საუბარი, ძირითადად, შეეხებოდა ახალ წესდებას და არჩევნებში დელეგატთა განსაზღვრას, ხმათა გადანაწილებას. რეგიონის წარმომადგენლებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს ამ თემებთან დაკავშირებით და მომავალი არჩევნების შესახებ გამგეობის წევრთა შეხედულებებს მოუსმინეს.

აღმოსავლეთის საკალათბურთო წრეებთან შეხვედრაზე დასმულ საკითხებს გამგეობის წევრები გაითვალისწინებენ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც წესდების შემუშავებასა და საარჩევნო სისტემის განსაზღვრას შეეხება. მორიგ შეხვედრას ფედერაციის გამგეობა 4 ნოემბერს თბილისის საკალათბურთო კლუბებთან და ბავშვთა საკალათბურთო სკოლებთან გამართავს.

gbf.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink